LEGAL FEATURES OF INHERITANCE

Guranda Misabishvili

Doctoral student at the Faculty of Law at Caucasus International University, Notary

Email: gmisabishvili@notary.ge

Abstract

The article deals with the legal features of receiving an estate. The research issue is significant in many ways, as the legal norms related to inheritance relations need to be regulated. The main part of the inheritance legal norms has not changed since the adoption of the Civil Code, and as a result of the practice, many problematic issues have accumulated that need to be understood in a new way. The aim of the research is to analyze the legal grounds for accepting and refusing to accept an estate and its features based on the analysis of the legal literature and legislative norms used in the article and as a result to formulate ways to resolve it. The paper also includes comparative-legal and normative-legal analysis of Georgia, Germany, Greece and France. This article is a legal study, which aims to present the problems related to the research topic based on the comparative legal analysis of the legal norms, court and notarial practice and legal literature used in the article, which will enable us to draw conclusions and recommendations.

KEYWORDS: Heir, Law, Testament

Email: info@heraldoflaw.com
Guranda Misabishvili

შესავალი

მემკვიდრეობის უფლება დასაბამიდან დღემდე ადამიანის არსებობის თანმდევი აუცილებლობაა. იგი გულისხმობს გარდაცვლილი პირის უფლება-მოვალეობების მის უფლებამონაცვლეზე გადასვლას და თუ ადრე ჩვეულებებით რეგულირდებოდა, მოგვიანებით მათ სამართლებრივი ნორმები ჩაენაცვლა, რომლებიც მემკვიდრეობითი სამართლის სახელითაა ცნობილი და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანამედროვე სამართლის სისტემაში. მემკვიდრეობის უფლებას საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის ძირითად უფლებად აღიარებს.

მემკვიდრეობის მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ ადამიანს აძლევს გარანტიას – მის სიცოცხლეში შექმნილი როგორც მატერიალური, ისე სულიერი სიკეთე გადავა მისთვის სასურველი პირების საკუთრებაში. თუმცა, სამკვიდროს მიღებისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმები, რომლითაც ვხელმძღვანელობთ, გარკვეულწილად ეწინააღმდეგება მამკვიდრებლის და მემკვიდრის ინტერესებს. სამემკვიდრეო სამართალში არაერთი პრობლემური საკითხი დგას, რომელიც სამკვიდროს მიღებისას წარმოიშობა. მიუხედავად იმისა, რომ ანდერძის თავისუფლება მემკვიდრეობითი სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია, პრაქტიკულად კანონით მემკვიდრეობა უფრო ხშირად წარმოიშობა, ვიდრე ანდერძით მემკვიდრეობა. შესაბამისად, ანდერძის არ არსებობის შემთხვევაში ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს კანონმდებლის მიერ მემკვიდრეთა წრის ვიწროდ განსაზღვრულობა, რაც ზრდის სამკვიდრო ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლის ალბათობას. ნაშრომში განხილულია ის თავისებურებები და პრობლემები, რომლებსაც ვაწყდებით მემკვიდრეობის მიღებისას ქართულ სინამდვილეში ევროპულისგან განსხვავებით.

სამკვიდროს არსი

მემკვიდრეობით სამართალში სამკვიდრო ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. სამკვიდრო მასას, ანუ სამკვიდრო ქონებას, სამკვიდრო აქტივისა და პასივის ერთობლიობა შეადგენს. საქართველოში მოქმედი კანომდებლობით მემკვიდრეობით შესაძლებელია გადავიდეს როგორც ქონებრივი ხასიათის უფლება-მოვალეობები, ასევე არაქონებრივი ხასიათისაც. სამკვიდრო მოიცავს მამკვიდრებლის კუთვნილ ქონებრივ უფლებებსაც, როგორებიცაა: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, აღნაგობის უფლება, საკუთრების უფლება და სხვ. სამკვიდროში შედის ასევე ის ვალდებულებები, რომლებიც გააჩნდა მამკვიდრებლს მისივე სიცოცხლეში და არ შეუსრულებია – გაუსტუმრებელი ვალი და სხვა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ უფლება-მოვალეობას, კანონიდან გამომდინარე ან თავისი ბუნების გამო, ეს არ ეხება.

ქართული სამემკვიდრეო სამართლის მსგავსად გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისად სამკვიდრო პირის გარდაცვალებით იხსნება, თუმცა არსებობს მთელი რიგი განსხვავებები, კერძოდ, ის, რომ ძირითადი სამკვიდრო საკითხები დგინდება სასამართლოს მიერ. სამკვიდრო ქონება სრულად გადადის ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეზე, იქნება ეს ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, გერმანელი თუ უცხოელი, ცოცხალი თუ ჯერ არ დაბადებული, მაგრამ ჩასახული: *„მემკვიდრე შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, ვინც ცოცხალია სამკვიდროს გახსნის მომენტში. პირი, ვინც სამკვიდროს გახსნის მომენტში ჯერ არ დაბადებულა, თუმცა, იყო ჩასახუ-*

ლი, ითვლება დაბადებულად სამკვიდროს გახსნამდე".[1] მოანდერძის მიერ დატოვებული სანოტარო წესით დადასტურებული ანდერძი პირადი ხელმოწერით საკმარისი საბუთია სამკვიდროს მისაღებად. მემკვიდრეს შესაბამის სერთიფიკატს აძლევს სასამართლო, სადაც ზუსტდება და მტკიცდება ინფორმაცია. შესაბამისი დოკუმენტი ადგენს სამკვიდრო უფლებას და მიუთითებს სამკვიდრო წილზე (გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. 2019). როგორც ვხედავთ, გერმანიაში სამკვიდრო საქმისწარმოების არსებით მხარეს სასამართლო აწარმოებს, მაშინ, როდესაც საქართველოში ნოტარიუსი წარმოადგენს წამყვან ფიგურას.

საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის სტრუქტურა გერმანული კოდექსის ანალოგიურია, ვინაიდან, საბერძნეთში მოხდა გერმანული სამართლის რეცეფცია.[2] კონკრეტულად, „ბერძნული სამართლის თანახმად, სამკვიდრო ქონების უნივერსალური შემადგენლობა, მემკვიდრეობის უფლება და მემკვიდრეების მიერ დაუფლება ხორციელდება პირის გარდაცვალების მომენტში. გარდაცვალების დროს, "de cujus" მემკვიდრეობა პირდაპირი წესით გადადის "ab intestat" (ანდერძის გარეშე მემკვიდრეობა) მემკვიდრეებზე ან ანდერძით მემკვიდრეებზე".[3] ბერძნული სამართლის თანახმად, მემკვიდრეს ენიჭება კანონიერი უფლება სამკვიდროზე მემკვიდრეობის გადასვლის მომენტში. მემკვიდრედ აღიარებისათვის მოითხოვება იურიდიული უფლება. რაც შეეხება რეალურ უფლებებს და უძრავი ქონების მიღებასთან დაკავშირებულ უფლებებს, მათი დაკანონება ხორციელდება სანოტარო აქტის და სამკვიდრო მოწმობის დარეგისტრირების საფუძველზე (საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება).

საფრანგეთშიც სამკვიდრო იხსნება მამკვიდრებლის გარდაცვალების აქტის ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, 2014). მემკვიდრეობის უფლება მიიღება „მამკვიდრებლის" გარდაცვალებისას კანონით მემკვიდრეთა სასარგებლოდ. გერმანულის მსგავსად, მემკვიდრედ ცოცხალი ან ჩასახული ითვლება, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია, რომ იგი არ უნდა იყოს უღირსი (არ უნდა იყოს მამკვიდრებლის მკვლელობაში ან მკვლელობის მცდელობაში დადანაშაულებული, არ უნდა გასცეს ინფორმაცია მამკვიდრებლის წინააღმდეგ გარდაცვლილის მკვლელობის შესახებ).[4] „მემკვიდრეთა უფლებამოსილება განისაზღვრება ნოტარიული დოკუმენტით ან სამკვიდროს აღწერის სიით".[5] მათ არც ერთ შემთხვევაში არ სჭირდებათ სასამართლოს საბუთი,[6] რადგან ეს ჩანაცვლებულია სანო-

1 მუხლი 1923, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. 2019. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_BGB_GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXKiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoJgIZ1dvBKuKBh093sw4> [წვდომის თარიღი 21 მაისი 2022].

2 კოტცი, ჰ. და ცვაიგერტი, კ., 1995. შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში. მოსკოვი: ტომი1.

3 მუხლი 1710, საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf> [წვდომის თარიღი 21 მაისი 2022].

4 გრესე, მ., 2014. ევროპის შედარებითი სამართლის სანოტარო რვეულები. საფრანგეთი, ტომი I, გვ. 51.

5 მუხლი 815.11, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი. 2014. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.fd.ulisboa.pt/wp-content/uploads/2014/12/Codigo-Civil-Frances-French-Civil-Code-english-version.pdf> [წვდომის თარიღი 21 მაისი 2022].

6 გრესე, მ., 2014. ევროპის შედარებითი სამართლის სანოტარო რვეულები. საფრანგეთი: ტომი I, გვ. 53.

ტარო დოკუმენტით.[7] როგორც ვხედავთ, გერმანული, ფრანგული და ბერძნული კანონმდებლობა მოცემულ საკითხზე საერთო პრინციპებს ეყრდნობა. ყველა მათგანი კონტინენტური სამართლებრივი სისტემის ნაწილს წარმოადგენს და მიუხედავად იმისა, რომ გერმანული და ფრანგული სამართალი ორ სხვადასხვა ოჯახს მიეკუთვნება, ორივე მათგანი ყალიბდებოდა, იხვეწებოდა და თანაარსებობდა საუკუნეების განმავლობაში. შესაბამისად, სავადარაუდოდ, განიცდიდა ურთიერთგავლენასაც. საფრანგეთის და გერმანიის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში არსებული ნორმების შესწავლა ცხადყოფს, რომ შესაძლებელია ქართულ სამართალში ზოგიერთი ნორმის გადმოტანის და გაზიარების საფუძველზე მიღებულ იქნეს უფრო ქმედითი და მოქნილი გარემო სამემკვიდრეო საქმის წარმოებით მიზნით.

მემკვიდრეობა კანონით

ცნობილი მკვლევრების (გ. ნადარეიშვილი, დ. ფურცელაძე, ბ. ზოიძე) აზრით, საქართველოში მემკვიდრეობა ტრადიციულად ოჯახურ საწყისებს ეყრდნობოდა და მემკვიდრის საკითხი ბევრად იყო დამოკიდებული მასზე. ამ მხრივ ქართული სამართალი რომაულს ჰგავს – მემკვიდრეა არა ჩვეულებრივი, არამედ ერთ ოჯახად მცხოვრები ნათესავი. ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვით, ქალაქური მემკვიდრეობა ინდივიდუალურ ოჯახში ცოლ-შვილის ფარგლებს გარეთ არ გადიოდა.[8] მემკვიდრეებად მიიჩნეოდნენ შვილები-ვაჟიშვილი და ზოგჯერ ქალიშვილიც და მეუღლეც. ამის შემდეგ ქონება ბეითელმენად ცხადდებოდა. დროთა განმავლობაში, რაც უფრო იშლებოდა დიდი ოჯახები, უფრო ფართოვდებოდა სახელმწიფოს უფლებები სამკვიდრო ქონებაზე.[9]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად განსაზღვრულია მემკვიდრეთა ხუთი რიგი, „წინა რიგის თუნდაც ერთი მემკვიდრის არსებობა, გამორიცხავს შემდგომი რიგის მემკვიდრეთა მიერ მემკვიდრეობის მიღებას“.[10] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს რა მემკვიდრეობითი სამართლის ისტორიულ ნიუანსებს, ამომწურავად განსაზღვრავს კანონიერ მემკვიდრეთა წრეს, რაც შეუძლებელს ხდის მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებში ქონების უმკვიდროდ ცნობის ფაქტის თავიდან აცილებას. აღნიშნულ ნორმას აღმჭურველი ხასიათი გააჩნია, რაც ჩამონათვალის მიღმა ტოვებს მამკვიდრებლის გერებს (ისევე, როგორც დედინაცვალს და მამინაცვალს), რომელთაც შეზღუდული აქვთ სამკვიდროს მიღების უფლება.

2019 წლის 4 თებერვალს მოქალაქე გიორგი ხორგუაშვილმა კონსტიტუციური სარჩელით №1395 მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომლის საფუძველზე სადაო ნორმად – არაკონსტიტუციურად ასახელებს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის შინაარსს, ვინაიდან მამკვიდრებელს, ვერა ხორგუაშვილს, არ ჰყავს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით განსაზღვრული ხუთიდან არც ერთი რიგის მემკვიდრეები, ხოლო გიორგი ხორგუაშვილი, როგორც გერი, ვერ ხდება მემკვიდრე, რაც იწვევს სამკვიდრო ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლას, მიუხედავად იმ

7 იქვე. გვ. 53.
8 ზოიძე, ბ., 2000. ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი. თბილისი: გვ. 256.
9 შენგელია, რ. და შენგელია, ე., 2007. მემკვიდრობის სამართალი. თბილისი: მერიდიანი, გვ. 46.
10 მუხლი 1337, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117> [წვდომის თარიღი 21 მაისი 2022].

გარემოებისა, გიორგი ხორგუაშვილის სახით მამკვიდრებელს ჰყავს გერი, იმის გამო, რომ უმკვიდრო ქონება შეიძლება წაიღოს მოხუცზე მზრუნველმა დაწესებულებამ, ხოლო ვერ მიიღებს საკუთრებაში დედინაცვალზე/მამინაცვალზე მზრუნველი გერი, სადავო ნორმა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტს.[11]

ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მემკვიდრეობის განხილვა და შედარება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან. თუ კანონით მემკვიდრეთა წრე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ამომწურავად არის ჩამოყალიბებული, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1924-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან მამკვიდრებლის შთამომავლები", ე.ი. გერმანიის კანონმდებლობით, კანონით მემკვიდრეთა წრე საერთოდ არ არის შეზღუდული.[12] სახელდობრ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1929-ე მუხლის თანახმად „მეხუთე და შემდგომი რიგის კანონით მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან მამკვიდრებლის შორეული წინაპრები და მათი შთამომავლები".[13] ეს გამორიცხავს ქონების უმკვიდროდ ცნობის ფაქტს, სამკვიდროში არსებული ქონება გადაეცემა არა სახელმწიფოს, არამედ მამკვიდრებლის რომელიმე შთამომავალს, დაცულია რიგების რიგითობის სისტემა. „ნათესავი არ მოიწვევა სამკვიდროს მისაღებად, სანამ სახეზეა წინა რიგის ნათესავი".[14] რითაც მნიშვნელოვნად დაცულია როგორც მემკვიდრის ინტერესები, ასევე სამკვიდრო ქონება. უცხო ქვეყნების საკანონმდებლო ნორმების შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ შერბილდა უარყოფითი დამოკიდებულება გერების მიმართ. პოლონეთის და ოჰაიოს შტატის კანონმდებლობა მამკვიდრებლის გერებს ბოლო რიგის მემკვიდრეებად ასახელებს. გერის სამემკვიდრეო უფლებების დაცვაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა კალიფორნიის შტატმა, საკანონმდებლო ორგანოს მიერ 1983 წელს განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე გერი შეყვანილ იქნა კანონით მემკვიდრეთა პირველ რიგში, იმ შემთხვევაში, თუ გერი დაასაბუთებდა იმ გარემოებებს, რომ გერსა და დედინაცვალს და/ან მამინაცვალს შორის ურთიერთობა დაიწყო ბავშვობიდან და გრძელდებოდა მთელი ცხოვრების განმავლობაში, აგრეთვე დედინაცვალი და/ან მამინაცვალი გეგმავდა მის შვილად აყვანას, რაშიც ხელი შეუშალა სამართლებრივმა ბარიერმა.

სანოტარო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა გერები მიმართავენ სანოტარო ბიუროს სამკვიდროს მიღების მოთხოვნით. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ დედინაცვალს და/ან მამინაცვალს შესაძლებელია კანონმდებლობით განსაზღვრული არც ერთი რიგის მემკვიდრე არ ჰყავდეთ, არსებობდეს მხოლოდ გერი. ამის მიუხედავად, მამკვიდრებლის სიკვდილი, მოქმედი სამართლებრივი ნორმების თანახმად, იწვევს გერის სამართალმემკვიდრეობის უარყოფას. მიუხედავად მათი არ-

11 კონსტიტუციური სარჩელი 2019 წლის 4 თებერვლის #1395: „საქართველოს მოქალაქე გიორგი ხორგუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ". [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://constcourt.ge/uploads/documents/5f77725f6ef92.pdf> [წვდომის თარიღი 21 მაისი 2022].

12 მუხლი 1924, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. 2019. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_BGB_GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXKiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoJgIZ1dvBKuKBh093sw4> [წვდომის თარიღი 21 მაისი 2022].

13 იქვე. მუხლი 1929.

14 მუხლი 1930, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. 2019. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_BGB_GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXKiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoJgIZ1dvBKuKBh093sw4> [წვდომის თარიღი 21 მაისი 2022].

სებობისა, ქონება უმკვიდროდ ცხადდება და გადაეცემა სახელმწიფოს. საკანონმდებლო მოწესრიგების ფონზე მემკვიდრეთა წრის გაზრდა – გერისათვის მემკვიდრობის უფლების მინიჭების საფუძველზე – შეამცირებს ქონების უმკვიდროდ გამოცხადების და სახელმწიფოსათვის გადაცემის შესაძლებლობას, რომლის სასარგებლო არგუმენტი არის ის, რომ, შესაძლოა გერსა და დედინაცვალს (მამინაცვალს) შორის არსებობდეს მრავალწლიანი ოჯახური ურთიერთობა, რაც შესაძლებელია ეფუძნებოდეს ურთიერთპატივისცემას, ერთმანეთის რჩენას, მოვლა-პატრონობას, სიყვარულს, განსაკუთრებით მაშინ, როცა დედინაცვალს და/ან მამინაცვალს არ ჰყავს შვილი. მათ შორის სისხლისმიერი კავშირის არ არსებობის გამო, ურთიერთობის იგნორირება არაობიექტურად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება მიზნებს, რომლებიც უკავშირდება სამკვიდროს მიღების შესაძლებლობას. არგუმენტად შესაძლოა დასახელდეს აგრეთვე ის მავალდებულებელი ნორმა, რომელიც გერს ავალდებულებს, *„არჩინოს თავისი შრომისუუნარო მამინაცვალი ან/და დედინაცვალი, რომელთაც დახმარება ესაჭიროებათ, თუ ისინი ადრე ზრდიდნენ ან არჩენდნენ მას“.*[15] გერი შესაძლოა ამ მოვალეობას მისი სურვილით, კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზეც ასრულებდეს, ხარჯავდეს მის სახსრებს, შრომას, დროს. ასეთ შემთხვევაშიც კანონმდებელი უარს ამბობს გერის მიერ დედინაცვლის და/ან მამინაცვლის სამკვიდროს მიღებაზე, რაც, ვფიქრობ, არღვევს ბალანსს სამემკვიდრეო საქმის წარმოების დროს. აღნიშნული საკითხის მოწესრიგება წაახალისებს გერს, მისცემს ინტერესს და მოტივაციას, იცხოვროს მამინაცვალთან ან/და დედინაცვალთან, შეუმსუბუქოს მათ, როგორც მატერიალური, ასევე სულიერი მდგომარეობა, იზრუნოს მასზე, რაც დაიცავს და დააბალანსებს თითოეული მხარის ინტერესებს.

მემკვიდრეობა ანდერძით

კლასიკური რომაული მემკვიდრეობის სისტემის შუაგულში დევს თავისუფალი ნების გამოხატვის იდეა. რომაელებმა სიკვდილის წინ აღთქმის დადება არსებითად მიიჩნიეს. ანდერძის თავისუფლების ხარისხით კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს რომის სამართალი.[16] XII ტაბულის კანონების პერიოდიდან ანდერძის თავისუფლება იმდენად უსაზღვრო იყო, რომ კანონისმიერ მემკვიდრეობასთან შედარებით, უპირატესობა ანდერძით მემკვიდრეობას ენიჭებოდა. ანდერძი ცალმხრივი გარიგების ყველაზე კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს, მისი ნამდვილობისათვის საკმარისია მხოლოდ მოანდერძის ნება, საჭირო არ არის პირის წინასწარი ნების თანადამთხვევა.[17] ნათლად იკვეთება, მოანდერძის მიერ საანდერძო განკარგულების გაცემა ყოველთვის დამყარებული იყო მის სრულ თავისუფლებაზე.

„ანდერძი“ სპარსული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს პირის უკანასკნელ ნება-სურვილს, მითითებას ან დანაბარებს. ამ ტერმინის დამკვიდრებამდე საქართველოში მნიშვნელობით იხმარებოდა ტერმინი „აღთქუმა“, იგი უმეტესად პირთა

15 მუხლი 1227, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117> [წვდომის თარიღი 21 მაისი 2022].

16 შენგელია, რ. და შენგელაია, ე., 2017. მემკვიდრობის სამართალი. მერიდიანი, გვ. 52.

17 ჭანტურია, ლ., 2000. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბილისი: გვ. 75.

შორის შეთანხმებას ნიშნავდა, მაგრამ ანდერძის მნიშვნელობაც ჰქონდა.[18] სამემკვიდრეო ურთიერთობათა გავრცელებამ და განვითარებამ გამოიწვია საზოგადოებრივ ურთიერთობებში „ანდერძის" დამკვიდრება, მისი ცნება განმარტებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ:„ჩვეულებრივ განსაცდელის მოლოდინში მყოფისა,ან მომაკვდავის სიტყვიერად, თუ წერილობით გამოთქმულს, სიკვდილის შემდგომ ასასრულებლად განკუთვნილს, უკანასკნელი ნების გამოცხადებას, „ანდერძი" ეწოდებოდა".[19] იმავე მნიშვნელობითაა ანდერძი განმარტებული იოანე ბაგრატიონისა და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონებში. ანდერძის აღნიშნულ ცნებას ეყრდნობა თანამედროვე სამოქალაქო კანონმდებლობა. ანდერძის, როგორც ცალმხრივი გარიგების, მიმართ მოქმედებს „mortis causa"-ს პრეზუმფცია (ძალაშია სიკვდილის შემთხვევაში), თავისუფლად გაუქმებადი (შეცვლადი), ცალმხრივი უკანასკნელი ნების დებულება. კერძოდ, ნებისმიერი ანდერძი შესაძლოა გაუქმებულ (შეცვლილ) იქნას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1344-ე მუხლის თანახმად, „ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც".[20]. თანამედროვე სამოქალაქო კანონმდებლობაში ანდერძი რამდენიმე სპეციფიკურ თავისებურებას ემყარება: იგი არის აქტი, რომელიც გამოხატავს მამკვიდრებლის ნებას მისი სიკვდილის შემთხვევაში ქონებრივი აქტივისა და პასივის სხვა პირებისათვის გადაცემის შესახებ; მამკვიდრებელს აქვს მემკვიდრის თავისუფალი არჩევის შესაძლებლობა.

მამკვიდრებელს შეუძლია თავისი ქონება დაუტოვოს როგორც სრულიად უცხო პირს, ასევე პირს კანონით მემკვიდრეთა წრიდან; ანდერძი სრულ თავისუფლებას აძლევს მოანდერძეს, ნებისმიერ დროს გააუქმოს ანდერძი, შეცვალოს ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ. თანამედროვე სამოქალაქო სამართალი ანდერძის მხოლოდ წერილობით ფორმას ითვალისწინებს, სანოტარო ფორმით ან მის გარეშე (სამოქალაქო კოდექსის 1357-ე მუხლი). სანოტარო წესით დასამოწმებელი ანდერძი შეიძლება ორნაირი წესით შედგეს: მოანდერძის მიერ დამოუკიდებლად შედგენა ნოტარიუსის დასტურით ან ანდერძის სიტყვებით ჩაწერა ნოტარიუსის მიერ ორი მოწმის თანდასწრებით. სავალდებულო არ არის ყველა ანდერძის დადასტურება. კანონი არ განსაზღვრავს, ამას თვითონ მოანდერძე წყვეტს. შესაძლებელია წერილობითი ანდერძის შედგენა სანოტარო დადასტურების გარეშე, რაც წარმოდგენილია შინაურული და დახურული ანდერძის სახით.[21] მოანდერძე შეიძლება იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, რომელსაც შეუძლია ნათლად განსაზღვროს თავისი ნება, სურვილი, თუ ვინ გახდება მისი ანდერძისმიერი მემკვიდრე. ამ მხრივ საინტერესოა შედარება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან, რომლის თანახმადაც, ანდერძის შესადგენად პირს უნდა გააჩნდეს სრული იურიდიული ქმედუნარიანობა, თუმცა უნდა აღინიშნოს, სხვა ქვეყნებთან შედარებით გერმანული

18 ზოიძე, ბ., 2000. ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი. თბილისი: გვ. 260.

19 ჯავახიშვილი, ივ., 1984. თხზულებანი, ტ. VII. გვ. 275. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/sep/books/javaxishvili_7.pdf> [წვდომის თარიღი 21 მაისი 2022].

20 მუხლი 1344, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117> [წვდომის თარიღი 21 მაისი 2022].

21 შენგელია, რ. და შენგელაია, ე., 2017. მემკვიდრობის სამართალი. მერიდიანი, გვ. 53.

სამართალი 16 წლიდან აძლევს პირს შესაძლებლობას, დამოუკიდებლად შეადგინოს ანდერძი საჯარო ფორმით. „არასრულწლოვანს შეუძლია ანდერძის შედგენა მხოლოდ 16 წლის ასაკის მიღწევისთანავე".[22] არსებობს ანდერძის სამი ტიპი: ანდერძი საჯარო აქტის სახით (ან სანოტარო ფორმის ანდერძი), ოლოგრაფიული ანდერძი და განსაკუთრებული ანდერძები. თითოეული მათგანი გამოიყენება საჭიროების მიხედვით და მთლიანად მორგებულია მამკვიდრებლის ნება-სურვილს.

საბერძნეთის სამართლის მიხედვით, რომელშიც გერმანული სამართლის რეცეფცია განხორციელდა, საანდერძო დებულებანი გაწერილია საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის 1716-1812-ე მუხლებში. ანდერძის მეშვეობით შესაძლებელია პირის გარდაცვალების შემდეგ მოხდეს მისი მემკვიდრეობის ზოგიერთი საკითხის რეგულირება, მაგალითად, მშობლების ქორწინების გარეშე შობილი ბავშვების შვილებად ცნობა (საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება). დებულებანი მოანდერძის ქმედუნარიანობის შესახებ სპეციალურ ხასიათს ატარებს: ანდერძის შედგენა არ შეუძლიათ არასრულწლოვნებს; მეურვეობის და მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირებს; მათ, ვისაც ანდერძის შედგენის მომენტში არ აქვთ გონივრულად განსჯის უნარი. არსებობს ანდერძის ჩვეულებრივი და სპეციალური ფორმები. სპეციალური ანდერძი, განსაკუთრებულ პირობებშია შესრულებული და ვალიდურია მხოლოდ სამი თვის განმავლობაში განსაკუთრებული პირობების დადგომიდან, რომელიც მათი რედაქტირების საშუალებას იძლევა (საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება. მუხლი 1749-1757).

რაც შეხება საფრანგეთის სამართალს, ფრანგული სამართალი სრულიად კრძალავს ერთობლივ ანდერძს ან სამკვიდრო შეთანხმებას. იმისათვის, რომ მოანდერძემ შეძლოს ანდერძის შედგენა, ის უნდა სარგებლობდეს ქონების სრული უფლებით. იურისპრუდენცია, ჩანს, ორიენტირებულია ანდერძის შედგენის თავისუფლებაზე (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი. 2014). ფრანგული სამართალი იცნობს შემდეგი ანდერძის ტიპებს: ხელით დაწერილი ანდერძი, ნოტარიალურად დამოწმებული ანდერძი, საიდუმლო ანდერძი ან მისი გამარტივებული ვერსია. განსაკუთრებული (უჩვეულო) ანდერძი, რომელიც შესწორებულ იქნა 2006 წლის 23 ივნისის N 2006-728 კანონით). სპეციალური წესებია გათვალისწინებული განსაკუთრებული გარემოებებისათვის (ჯარი, საზღვაო მოგზაურობა, გადამდები დაავადება...), რის გამოც შეუძლებელია მიმართონ ნოტარიუსს. ასეთ პირობებში შედგენილი ანდერძი უნდა განახლდეს 6 თვის შემდეგ, როცა მოანდერძე დაუბრუნდება ნორმალურ მდგომარეობას. ანდერძის შესახებ ინფორმაცია აუცილებლად უნდა არსებობდეს ვენელის კარტოთეკაში.[23] ანდერძის თავისუფლების საკითხთან დაკავშირებით ქართული და ფრანგული სამართლის შედარებისას ქართულ გადაწყვეტასთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომ ანდერძის თავისუფლება გარკვეულწილად ფიქციის სახეს იღებს სავალდებულო წილის ინსტიტუტის გათვალისწინებით. იმისდა მიუხედავად, რომ ანდერძით შეიძლება არამემკვიდრე პირს ეანდერძოს მთელი ქონება, ის მასზე მაინც სავალდებულო წილის გამოკლებით გადავა, რაც განპირობებულია საჯარო წეს-

22 მუხლი 2229, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. 2019. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_BGB_GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXKiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoJgIZ1dvBKuKBh093sw4> [წვდომის თარიღი 21 მაისი 2022].

23 მუხლი 976, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი. 2014. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.fd.ulisboa.pt/wp-content/uploads/2014/12/Codigo-Civil-Frances-French-Civil-Code-english-version.pdf> [წვდომის თარიღი 21 მაისი 2022].

რიგის გავრცელებით სამკვიდროს იმ ნაწილზე, რომელიც კანონით მემკვიდრეთა უზრუნველყოფისთვისაა განსაზღვრული. გამომდინარე აღნიშნულიდან, მიზანშეწონილი იქნებოდა ანდერძით განსაკარგი ქონების რეალური რეგულირება.[24] რაც სრულყოფილადაა განსაზღვრული ფრანგული სამოქალაქო კოდექსით: საფრანგეთში მოანდერძეს სამკვიდროს მხოლოდ გარკვეული ნაწილის განკარგვის უფლება აქვს. სავალდებულო წილი სამკვიდრო ქონებაზე უფლების წილია, რომლის თავისუფალ გადაცემას უზრუნველყოფს კანონი, თუ მისი მიღების უფლებამოსილი პირები მიწვეულნი არიან მემკვიდრეობის მისაღებად და მიღებაზე აცხადებენ თანხმობას. როგორც ჩანს, ანდერძის თავისუფლების პრინციპი უზრუნველყოფს ანდერძისმიერი მემკვიდრეების არჩევის შესაძლებლობას, მოანდერძეს აძლევს სრულ უფლებას, გაზარდოს მემკვიდრეთა წრე მათი მდგომარეობისა და რაოდენობის მიუხედავად.

დასკვნა

უცხო ქვეყნების კანონმდებლობის შედარებითი სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში ნათლადაა განმარტებული სამკვიდროს მიღების შესაძლებლობები, დაცულია მამკვიდრებლისა და მემკვიდრის უფლებები, რომლებიც აწესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობას, კანონით და ანდერძით მემკვიდრეობის დროს სამკვიდრო საქმის წარმოებისას.

ქართულ სამართალში კანონით მემკვიდრეობის დროს, მემკვიდრეთა წრე განსაზღვრულია რიგითობის სისტემით, გერმანიის კანონმდებლობით, კანონით მემკვიდრეთა წრე საერთოდ არ არის შეზღუდული, მკაცრად განსაზღვრული არ არის, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს ქონების უმკვიდროდ გამოცხადების და მისი სახელმწიფოსათვის გადაცემის შესაძლებლობას. სამკვიდრო ქონება გადაეცემა მამკვიდრებლის რომელიმე შთამომავალს, რომლითაც მნიშვნელოვნად დაცულია როგორც მემკვიდრის ინტერესები, ასევე სამკვიდრო ქონება. პრაქტიკულად, ვინაიდან კანონით მემკვიდრეობა უფრო ხშირად წარმოიშობა, ვიდრე ანდერძით მემკვიდრეობა, უმჯობესია, მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით, კანონით მემკვიდრეთა წრე გამყარდეს (გაიზარდოს). აქვე უნდა აღინიშნოს, ანდერძით მემკვიდრეობის დროს მემკვიდრის არჩევის შესაძლებლობა უფრო ფართოდაა განსაზღვრული, რაც გამოიხატება მოანდერძის თავისუფლების პრინციპიდან, მას შეუძლია ნებისმიერ პირს გადასცეს ანდერძის საფუძველზე თავისი ქონება, მოანდერძე არ არის შეზღუდული მემკვიდრის არჩევაში, მიუხედავად მემკვიდრის მდგომარეობისა და მისი რაოდენობისა. დაბალი სამართლებრივი ცნობიერების გამო მოსახლეობა ხშირად ფიქრობს, რომ მემკვიდრეობა მათზე ავტომატურად გადადის და ხშირია შემთხვევები, როდესაც სამკვიდროს მიღების მსურველი პირი არც ერთ რიგში არ მოიაზრება და უფრო შორეული ნათესაობის ხარისხი აკავშირებს მამკვიდრებელთან. ასეთ შემთხვევებში, მიუხედავად იმისა, რომ ნათესაური კავშირი აშკარად იკვეთება, ეს პირები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, მიიღონ სამკვიდრო, რომელიც ამ შემთხვევაში სახელმწიფოს საკუთრებად მიიჩნევა. სახელმწიფოსთვის რიგ შემთხვევებში შეიძლება მომგებიანი არც აღმოჩნდეს სამკვიდროს მიღება, როდესაც სამკვიდრო პასივების შემცველიცაა. კანონმდებელს, იმ მოტივიდან გამომდინარე, რომ წაახალისოს მემკვიდრეთა მიერ სამკვიდროს მიღება, შეზღუდული აქვს მემკვიდრეთა წრე ხუთ რიგამდე. მოქნილი კანონმდებლობის ფარგლებში მიზანშეწონილი იქნებოდა, გამონაკლის

24 ხარიტონაშვილი, ნ., 2021. სანოტარო სამართალი. ბონა კაუზა, გვ. 27.

შემთხვევაში, მემკვიდრეთა წრის გაზრდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, უცხო ქვეყნების გამოცდილების ქართულ სამართალში გაზიარება მნიშვნელოვნად გამორიცხავს სამკვიდრო ქონების უმკვიდროდ დარჩენის საკითხს და სახელმწიფოსათვის გადაცემის შესაძლებლობას, გაამყარებს და დაიცავს ნებისმიერი მოქალაქის მიერ სამკვიდროს მიღების, როგორც საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ უფლებას.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გრესე, მ., 2014. ევროპის შედარებითი სამართლის სანოტარო რვეულები. საფრანგეთი: ტომი I,
2. ზოიძე, ბ., 2000. ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი. თბილისი.
3. კოტცი, ჰ. და ცვაიგერტი, კ., 1995. შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში. მოსკოვი: ტომი1.
4. შენგელია, რ. და შენგელაია, ე., 2017. მემკვიდრობის სამართალი. მერიდიანი.
5. ჭანტურია, ლ.,2000. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბილისი.
6. ხარიტონაშვილი, ნ., 2021. სანოტარო სამართალი. ბონა კაუზა.
7. ჯავახიშვილი, ი., თხზულებანი ტ. VII. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/sep/books/javaxishvili_7.pdf> [წვდომის თარიღი 21 მაისი 2022].

Bibliography:

Used literature:

1. Grace, M., 2014. Notarial Notebooks of European Comparative Law. France, Volume I. (in Georgian)
2. Zoidze, B., 2000. Ancient Georgian Inheritance Law. Tbilisi. (in Georgian)
3. Kotz, H . and Tsvaigert, K., 1995. Introduction to Comparative Jurisprudence in Private Law. Moscow: Volume 1. (in Georgian)
4. Shengelia, R. and Shengelaia, E., 2017. Inheritance Law. Meridian. (in Georgian)
5. Chanturia, L., 2000. Introduction to the General Part of Georgian Civil Law. Tbilisi. (in Georgian)
6. Kharitonashvili, N., 2021. Notary Law. A Bona Causa. (in Georgian)
7. Javakhishvili, Iv., Essays T. VII. [online] available at: <https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/sep/books/javaxishvili_7.pdf> [Accessed 21 May 2022]. (in Georgian)

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117> [წვდომის თარიღი 21 მაისი 2022].
2. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. 2019. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_BGB_GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXKiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoJgIZ1dvBKuKBh093sw4> [წვდომის თარიღი 21 მაისი 2022].
3. საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf> [წვდომის თარიღი 21 მაისი 2022].
4. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი. 2014. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.fd.ulisboa.pt/wp-content/uploads/2014/12/Codigo-Civil-Frances-French-Civil-Code-english-version.pdf> [წვდომის თარიღი 21 მაისი 2022].

Normative materials:

1. Civil Code of Georgia. [online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117> [Accessed 21 May 2022]. (in Georgian)
2. German Civil Code. 2019. [online] Available at: <http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_BGB_GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXKiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoJgIZ1dvBKuKBh093sw4> [Accessed 21 May 2022]. (in Georgian)
3. Inheritance Proceedings in Greece. [online] available at: <https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf> [Accessed 21 May 2022]. (in Georgian)
4. Civil Code of France. 2014. [online] available at: <https://www.fd.ulisboa.pt/wp-content/uploads/2014/12/Codigo-Civil-Frances-French-Civil-Code-english-version.pdf> [Accessed 21 May 2022]. (in English)

სასამართლო პრაქტიკა:

1. კონსტიტუციური სარჩელი 2019 წლის 4 თებერვლის #1395: „საქართველოს მოქალაქე გიორგი ხორგუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://constcourt.ge/uploads/documents/5f77725f6ef92.pdf> [წვდომის თარიღი 21 მაისი].

Judicial practice:

1. Constitutional lawsuit of 4 February, 2019 # 1395: “Citizen of Georgia Giorgi Khorguashvili v. Parliament of Georgia“.> [Accessed 22 February 2022]. [online] available at: <https://constcourt.ge/uploads/documents/5f77725f6ef92.pdf> [Accessed 21 May 2022]. (in Georgian)

References:

1. Article 1923, German Civil Code. 2019. [online] available: <http://lawlibrary.info/ge/books/2019gizge_BGB_GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXKiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoJgIZ1dvBKuKBh093sw4> [Accessed 21 May 2022]. (in Georgian)
2. Kotz, H. and Zweigert, K., 1995. An Introduction to Comparative Jurisprudence in Private Law. Moscow: Volume 1. (in Georgian)
3. Articles: 1710, Greek Inheritance Proceedings. [online] available at: <https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf> [Accessed 23 May 2022]. (in Georgian)
4. Gresse, M., 2014. Notarial Notebooks of Comparative European Law. France: Volume I, p.51. (in Georgian)
5. Article 815.11, French Civil Code. 2014. [online] available at: <https://www.fd.ulisboa.pt/wp-content/uploads/2014/12/Codigo-Civil-Frances-French-Civil-Code-english-version.pdf> [Accessed 23 May 2022]. (in English)
6. Gresse, M., 2014. Notarial Notebooks of Comparative European Law. France, Volume I, p. 53. (in Georgian)
7. Ibid. p. 53.
8. Zoidze, B., 2000. Ancient Georgian Inheritance Law. Tbilisi: p. 256. (in Georgian)
9. Shengelia, R. and Shengelia, E., 2007. Inheritance Law. Tbilisi: Meridian, p. 46. (in Georgian)
10. Article 1337, Civil Code of Georgia. [online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117> [Accessed 23 May 2022]. (in Georgian)
11. Constitutional lawsuit of February 4, 2019 #1395: “Citizen of Georgia Giorgi Khorguashvili against the Parliament of Georgia“. [online] available at: <https://constcourt.ge/uploads/documents/5f77725f6ef92.pdf> [Accessed 23 May 2022]. (in Georgian)
12. Article 1924, German Civil Code. 2019. [online] available at: <http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_BGB_GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXKiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoJgIZ1dvBKuKBh093sw4> [Accessed 23 May 2022]. (in Georgian)
13. Ibid. Article 1929.
14. Article 1930, German Civil Code. 2019. Available at: [online] available at: <http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_BGB_GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXKiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoJgIZ1dvBKuKBh093sw4> [Accessed 23 May 2022]. (in Georgian)
15. Article 1227, Civil Code of Georgia. [online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/doc-

ument/view/31702?publication=117> [Accessed 23 May 2022]. (in Georgian)
16. Shengelia, R. and Shengelaya, E., 2017. Law of Inheritance. Meridian: p. 52. (in Georgian)
17. Chanturia, L., 2000. Introduction to the General Part of Civil Law of Georgia. Tbilisi: p. 75. (in Georgian)
18. Zoidze, B., 2000. Ancient Georgian Inheritance Law. Tbilisi: p. 260. (in Georgian)
19. Javakhishvili, I., 1984. Tkhzulebani, Vol. VII. Tbilisi: p. 275. [online] available at: <https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/sep/books/javaxishvili_7.pdf> [Accessed 23 May 2022]. (in Georgian)
20. Article 1344, Civil Code of Georgia. [online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117> [Accessed 23 May 2022]. (in Georgian)
21. Shengelia, R. and Shengelaya, E., 2017. Law of Inheritance. Meridian: p. 53. (in Georgian)
22. Articles: 2229, German Civil Code. 2019. [online] available at: <http://lawlibrary.info/ge/books/2019giz ge_BGB_GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXKiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoJgIZ1dvBKuKBh093sw4> [Accessed 23 May 2022]. (in Georgian)
23. Article 976, French Civil Code. 2014. [online] available at: <https://www.fd.ulisboa.pt/wp-content/uploads/2014/12/Codigo-Civil-Frances-French-Civil-Code-english-version.pdf> [Accessed 23 May 2022]. (in English)
24. Kharitonashvili, N., 2021. Notary Law. Bona Causa, p. 27. (in Georgian)